



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1056/ს



02/07/2021

1056-11-4-202107021430

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის (ალვის ხის ჯიში, (შეშა)-სულ -33,50 მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N355) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 15 თებერვლის დასკვნის N000923421, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანებისა და კახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2021 წლის 21 ივნისის N8108/01 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N355 კახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ საგარეჯოს რაიონი სოფ. იორმულანლო, „სს ენერგო პრო ჯორჯია“ ე.გ.ხ გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული 33,50 მ³ ფოთლოვანი სახეობის (ალვის ხე) მერქნული რესურსის - (შეშის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ “საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას (თ. მეფარიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი